საქართველოს კონკურენციის
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმოხილვა

2026 წელი

სარჩევი

შესავალი 3

I. ჩინეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები 4

II. რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები 9

III. თურქეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები 12

შეჯამება 15

შესავალი

ბოლო წლებში, მსოფლიოში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების მიმართულებით საქართველოსთვის აქტუალური ტენდენციების შეფასების მიზნით, ანგარიშში განხილულია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ზომები.

2025 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებით წამყვან ექსპორტიორ ქვეყნებს აშშ, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი და გერმანია წარმოადგენენ. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-დან ძირითადად მსუბუქი ავტომობილები შემოდის (იმპორტის 85%-მდე), ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით ნაკლებად აქტუალურია აღნიშნული ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებული ზომების მიმოხილვა. რაც შეეხება თურქეთს, ჩინეთსა და რუსეთს, მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტის შემადგენლობა საკმაოდ დივერსიფიცირებულია. შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე გამოყენებული ზომების ანალიზისათვის სწორად აღნიშნული ქვეყნები შეირჩა.

გრაფიკი 1. საქართველოში იმპორტირებული პროდუქტის განაწილება ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით, 2025 წელი



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, საგარეო ვაჭრობის პორტალი

შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზისათვის გამოყენებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა პორტალზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს 2020-2025 წლებში აქტიური ღონისძიებების ჩამონათვალს. მონაცემთა ბაზაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ღონისძიებებზე, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, შეფასება მოიცავს მხოლოდ იმ ღონისძიებებს, რომლებიც შემოღებულ იქნა 2020-2025 წლებში (ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები) და ასევე, 2020 წლამდე შემოღებულ ზომებს, რომლებიც 2020-2025 წლებში კიდევ მოქმედებდა.

ერთი და იმავე ღონისძიების მრავალჯერადი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით, მონაცემების დამუშავებისას საბაჟო კავშირების მიერ გამოყენებული ზომები ერთ ზომად იქნა აღრიცხული. მსგავსი მიდგომა გამოვიყენეთ, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU), სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირის (SACU) და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC) მიერ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შემთხვევაში. დამატებით, ანტიდემპინგური ღონისძიებების საერთო რაოდენობაში არ არის გათვალისწინებული ბრექსიტის შემდეგ გაერთიანებულ სამეფოში ავტომატურად გადმოტანილი ევროკავშირის ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებები მიეკუთვნება ევროკავშირს, როგორც თავდაპირველ განმახორციელებელ იურისდიქციას და, შესაბამისად, აღირიცხება ევროკავშირის ზომებში.

I. ჩინეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2020-2025 წლების პერიოდში აქტიური და ახლად შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობამ 2,777 შეადგინა, მათ შორის, 949 ზომა გამოყენებული იყო ჩინეთის წინააღმდეგ (მთლიანი რაოდენობის 34%). 2020-2025 წლებში, ჩინეთის წინააღმდეგ შემოღებულია 312 ახალი ზომა, რაც ახლად შემოღებული ზომების მთლიანი რაოდენობის 33%-ს წარმოადგენს.

წლების მიხედვით არსებული დინამიკა მეტად მერყევია, კერძოდ, 2021 წელს ზომების რაოდენობა გაორმაგებულია 2020 წელთან შედარებით, რაც დაკავშირებულია პანდემიის შემდგომ იმპორტის მკვეთრ ზრდასა და ძირითად სექტორებში ჭარბ წარმოებასთან. 2022-2023 წლებში ვლინდება კლების ტენდენცია. 2025 წლისათვის ახალი ზომების რაოდენობა აღნიშნული პერიოდის მაქსიმუმს აღწევს და წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 90%-ით არის გაზრდილი. 2025 წელს ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს განსახილველი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან ტენდენციას და საჭიროებს შემდგომ დაკვირვებას, რათა განისაზღვროს, ასახავს თუ არა იგი მოსალოდნელი სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებების წინასწარ ზომებს, თუ წარმოადგენს WTO-ის წევრი ქვეყნების მხრიდან ანტიდემპინგური პოლიტიკის გამოყენებისადმი გაზრდილი ინტერესის გაძლიერებას.

გრაფიკი 2. ჩინეთის წინააღმდეგ შემოღებული ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები, 2020-2025 წწ.



ინიციატორი ქვეყნებიდან ჩინეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ყველაზე აქტიურად აშშ, ინდოეთი და ევროკავშირი იყენებდნენ, შესაბამისად, საერთო რაოდენობის 17%, 17% და 10% მთლიანობაში. დამატებით, ჩინეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს აქტიურად იყენებდნენ არგენტინა, თურქეთი და ბრაზილია. რაც შეეხება პერიოდების მიხედვით ზომების შედარებას, იკვეთება, რომ 2020 წლამდე შემოღებული ღონისძიებების ყველაზე დიდი წილი აშშ-ზე (21%) მოდიოდა, შემდეგ კი ინდოეთსა(14%) და ევროკავშირზე(9%). აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა 2020 წლის შემდეგ, შემოღებული ღონისძიებების შემთხვევაში მიღებული ახალი ანტიდემპინგური ზომების რაოდენობაში ისევ იგივე ჯგუფი დომინირებს, თუმცა უკვე სხვა მიმდევრობით. ამ პერიოდში ინდოეთის მიერ შემოღებული 67 ანტიდემპინგური ღონისძიება მკვეთრად აღემატება დანარჩენი იმპორტიორების მაჩვენებლებს, მათ შორის, ევროკავშირისა და აშშ-ს 34-34 ზომას. მიღებული ზომების რაოდენობის თვალსაზრისით, ქვეყნების პირველმა ათეულმა მიიღო 233 ახალი ზომა, მაშინ, როდესაც დანარჩენმა 31 ქვეყანამ - მხოლოდ 79.

გრაფიკი 3. 2020-2025 წლებში ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით



ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების სექტორული ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ შესწავლილ პერიოდში ყველაზე აქტიურად აღნიშნული ზომები არაძვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის სექტორში იყო გამოყენებული. 949 ანტიდემპინგური ზომიდან 343 სწორად ლითონებისა და მათი ნაწარმის პროდუქტზე მოდიოდა. ანტიდემპინგური ღონისძიებები ასევე აქტიურად გამოიყენება ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქციაზე (175 ზომა), მანქანების, ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და მექანიზმებისა (98 ზომა) და პლასტმასებისა და მათი ნაწარმის (88 ზომა) სექტორებში. წამყვან 4 სექტორზე ჩინეთის წინააღმდეგ გამოყენებული ზომების 74% მოდიოდა, რაც მიგვანიშნებს ანტიდემპინგური ღონისძიებების მაღალ კონცენტრაციაზე კაპიტალტევად და ენერგოტევად სამრეწველო დარგებში.

რაც შეეხება პროდუქტთა ჯგუფს, როგორც მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე ბოლო 2020-2025 წლებში აქტუალურია შემდეგი სახეობის დემპინგური იმპორტი - ელექტრო მოწყობილობები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (5%), ფოლადის სამაგრები (5%), დაფარული ბრტყელი ფოლადის ნაწარმი (4%) და ალუმინის ნაწარმი (4%), ასევე ფოლადისა და ლითონის სხვა ნაწარმი, ქიმიური ნივთიერებები და მანქანა-დანადგარები.

* გრაფიკი 4. 2020-2025 წლებში ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ზომების რაოდენობა პროდუქტის მიხედვით*



2020-2025 წლების განმავლობაში, ჩინეთის მიმართ შედარებით დიდი რაოდენობით ახალი ანტიდემპინგური ზომები შემოღებულია ალუმინის ნაწარმის, მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების, დაფარული ბრტყელი ფოლადის ნაწარმის, ფოლადის სამაგრებისა და სპეციალური ქიმიკატების პროდუქციაზე. პროდუქციის ტოპ ათეულში მიღებულია 144 ახალი ზომა, დანარჩენ 44 პროდუქციაზე კი - 168.

ანტიდემპინგური ზომების მიღებით პირველ ადგილზე მდგომი ალუმინის ნაწარმის (22 ზომა) იმპორტზე 2021-2022 წლებში ამოქმედდა ყველაზე მეტი ზომა (6 და 8), შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა, თუმცა 2025 წელს ისევ გახდა ერთ-ერთი წამყვანი სამიზნე ინდუსტრია (5 ზომა). 2025 წელს შედარებით მაღალია ფოლადის ბრტყელი ნაწარმისა და სამაგრების (6-6 ზომა), ასევე სპეციალური ქიმიკატების (5 ზომა) მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა.

2020 წლამდე შემოღებული ზომების მაჩვენებლებთან შედარებით იკვეთება ფოკუსის ზრდა მანქანა-დანადგარებისა და ალუმინის პროდუქტებზე. 2020-2025 წლებში შემოღებულ ახალ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს შორის, ხსენებული ორი მიმართულება წამყვანია სამიზნე ინდუსტრიებს შორის, მაშინ როდესაც, 2020 წლამდე შემოღებული ღონისძიებების წამყვან 5 სამიზნე პროდუქტშიც კი არ იყო.

* გრაფიკი 5. 2020-2025 წლებში ჩინეთის წინააღმდეგ ახლად ამოქმედებული ანტიდემპინგური ზომების რაოდენობა პროდუქტისა და წლების მიხედვით*



რაც შეეხება ქვეყნებისა და პროდუქციის ერთობლივ ჭრილს, ინდოეთს ყველაზე მეტი ანტიდემპინგური ზომა აქვს შემოღებული სპეციალურ ქიმიკატებზე (6), ლაქსაღებავებზე (5), მანქანებსა და მექანიკური მოწყობილობებზე (4) და ალუმინის ნაწარმზე (4); აშშ-ს - მანქანებსა და მექანიკური მოწყობილობებზე (6). ასევე მაღალია არგენტინის მიერ გამოყენებული ღონისძიებები ელექტრო მოწყობილობების დარგში.

ცხრილი 1. ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები: იმპორტიორი ქვეყანა X პროდუქტის ჯგუფი (2020-2025 წწ.)

	მანქანები და მექანიკური აღჭურვილობა	ალუმინის ნაწარმი	სპეციალური ქიმიკატები	ფოლადის სამაგრები	ელექტრო მოწყობილობები და ტექნიკა
ინდოეთი -	4	4	6	2	2
აშშ -	6	1	3	3	
ევროკავშირი -	2	3	1	2	1
არგენტინა -	1	3	1		5
მექსიკა -	1	1		3	

აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს ინდოეთის, როგორც ანტიდემპინგური ღონისძიებების მთავარი ინიციატორის გაძლიერებულ როლზე და ახალი ღონისძიებების პროდუქციული სტრუქტურის თანდათანობით დივერსიფიკაციაზე, რაც გამოიხატება ფოკუსის ნაწილობრივ გადანაცვლებაში ტრადიციული ფოლადის პროდუქტებიდან მანქანა-დანადგარების, ალუმინის ნაწარმისა და სხვა სამრეწველო შუალედური პროდუქტების მიმართულებით.

ძირითადი მიგნებები

- ჩინეთი ლიდერობს მის მიმართ დაწესებული ანტიდემპინგური ზომების რაოდენობით და მსოფლიოში 2020-2025 წელს მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების ჯამური რაოდენობის 34% შეადგენს;
- 2025 წელს გამოიკვეთა ჩინეთის მიმართ დაწესებული ახალი ანტიდემპინგური ზომების რაოდენობის მკვეთრი ზრდა - 97 ახალი ზომა და 90%-იანი ზრდა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.
- ანტიდემპინგურ ზომებს ჩინეთის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად იყენებენ ინდოეთი, აშშ და ევროკავშირი, მთლიანი რაოდენობის 44%;
- ანტიდემპინგური ღონისძიებები ყველაზე მეტად გამოყენებულია არაძვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის (36%), ქიმიური და მასთან დაკავშირებული ნაწარმის (18%) და მანქანების, მოწყობილობებისა და მექანიზმების (10%) დარგებში. ჩინეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად კონცენტრირებულია დამამუშავებელი მრეწველობის დარგებში.
- ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ პროდუქტის ჯგუფების შემადგენლობა საკმაოდ ფართოა. წამყვან პოზიციებზეა ელექტრო მოწყობილობები და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (50), ფოლადის სამაგრები (44), ფოლადის ბრტყელი ნაწარმი (41), ალუმინის ნაწარმი (39), სპეციალიზებული ქიმიური ნივთიერებები, მანქანა-დანადგარების და სხვა ფოლადისა და ლითონის ნაწარმი. წამყვანი 10 პროდუქტის ჯგუფი მთლიანი ზომების 37%-ს ფარავს.
- მიუხედავად იმისა, რომ ფოლადთან დაკავშირებული პროდუქტები კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, 2020 წლის შემდეგ ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებების სტრუქტურაში გაიზარდა ალუმინის ნაწარმის, მანქანა-დანადგარებისა და სპეციალიზებული ქიმიური ნივთიერებების წილი.

II. რუსეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2020-2025 წლების პერიოდში აქტიურ და ახლად შემოღებულ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს შორის 75 ზომა გამოყენებული იყო რუსეთის წინააღმდეგ (მთლიანი რაოდენობის 3%). 2020-2025 წლებში, რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულია 25 ახალი ზომა, რაც, ასევე, ახლად შემოღებული ზომების მთლიანი რაოდენობის 3%-ს წარმოადგენს. თავად რუსეთმა სხვა ქვეყნებიდან იმპორტზე მიიღო 38 ანტიდემპინგური ზომა, მათგან 20 - 2020 წლის შემდეგ.

წლების მიხედვით არსებული დინამიკა მერყევია, კერძოდ, ჩინეთის მსგავსად, რუსეთის წინააღმდეგაც 2021 წელს ზომების რაოდენობა გაორმაგებულია 2020 წელთან შედარებით. 2022-2023 წლებში ვლინდება კლების ტენდენცია და 2023 წელს მინიმალური რაოდენობისაა, 2024-წლისათვის 4, ხოლო 2025 წლისათვის 3 ზომა არის შემოღებული. ჩინეთის წინააღმდეგ ახლად შემოღებული ღონისძიებების მზარდი დინამიკისგან განსხვავებით, 2024-2025 წლებში რუსეთის შემთხვევაში არ შეინიშნება ზომების რაოდენობის მატების ტენდენცია. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად 2022 წლიდან რუსეთის მიმართ დასავლეთის სანქციები შეიძლება ჩაითვალოს, რომლებმაც ვაჭრობის შეზღუდვის ფონზე, შეამცირა ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებების საჭიროება.

გრაფიკი 6. რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები, 2020-2025 წწ.



2020-2025 წლებში ინიციატორი ქვეყნებიდან რუსეთის წინააღმდეგ მოქმედ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ყველაზე აქტიურად უკრაინა (21%), ევროკავშირი (16%), აშშ (15%) და ინდოეთი (12%) იყენებდნენ. დამატებით რუსეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს იყენებდნენ ბრაზილია, თურქეთი და მექსიკა. რაც შეეხება პერიოდების მიხედვით ზომების შედარებას, იკვეთება, რომ 2020 წლამდე შემოღებული ღონისძიებების ყველაზე დიდი წილი უკრაინაზე (24%) მოდიოდა, შემდეგ - ევროკავშირი (20%) და ინდოეთი (14%). აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა 2020 წლის შემდეგ შემოღებული ღონისძიებების შემთხვევაში, მიღებული ახალი ანტიდემპინგური ზომების რაოდენობაში უკვე აშშ ლიდერობს - 6 ანტიდემპინგური ღონისძიება (24%), უკრაინა მეორე ადგილზე ინაცვლებს 4 ზომით (16%) და სამეულში შემოდის თურქეთი - 3 ზომით (12%). ასევე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ 2022 წლის შემდეგ არ ფიქსირდება უკრაინისა და ევროკავშირის მიერ ახალი ზომების მიღება. მექსიკა, ავსტრალია, ჩინეთი, ინდონეზია და ტაილანდი მხოლოდ 2020 წლამდე მიღებულ ზომებში ფიგურირებენ. ეგვიპტე, პაკისტანი, კანადა და საუდის არაბეთი კი უკვე 2020 წლის შემდგომ მიღებულ ზომებში ჩნდებიან.

გრაფიკი 7. 2020-2025 წლებში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით



რაც შეეხება პროდუქტთა ჯგუფს, სამიზნე პროდუქტები ძირითადად განეკუთვნება **HS** საერთაშორისო ჰარმონიზებული სისტემის 3 ჯგუფს: VI კარს (ქიმიური და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების პროდუქცია), VII კარს (პლასტმასები და მათი ნაწარმი; კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი) და XV კარს (არაძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი).

ანტიდემპინგური ზომების მიღებით პირველ ადგილზე მდგომი ცხელი ნაგლინი ბრტყელი ფოლადის ნაწარმის (11 ზომა) იმპორტზე ზომების უმეტესი ნაწილი მიღებულია 2020 წლამდე, 2020 წლის შემდეგ მიღებულია მხოლოდ 1 ახალი ზომა, 2024 წელს. ასევე, 2020 წლამდეა მიღებული სასუქების იმპორტზე მოქმედი 6 ანტიდემპინგური ღონისძიება.

ბოლო 2020-2025 წლებში აქტუალურია ნავთობქიმიკატები (3 ზომა), სპეციალური პოლიმერები (2 ზომა), ფეროშენადნობები(2 ზომა) და სხვა ლითონები(2 ზომა). დანარჩენ პროდუქტზე ამ პერიოდში ერთ-ერთი ანტიდემპინგური ღონისძიებაა ამოქმედებული. 2020 წლამდე და 2020 წლის შემდეგ შემოღებული ზომების შედარებისას იკვეთება, რომ მეტალურგიული პროდუქტის დომინირების მიუხედავად, მზარდია ქიმიკატების მიმართ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების წილი.

პროდუქტის სახეობის მიხედვით ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასება აჩვენებს, რომ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი კვლავ კონცენტრირებულია ენერგოინტენსიურ პირველადი გადამუშავების სექტორებზე, რომლებიც რუსეთის ტრადიციულ საექსპორტო სპეციალიზაციასთან ასოცირდება.

გრაფიკი 8. 2020-2025 წლებში რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქციის ჭრილში



რაც შეეხება ქვეყნებისა და პროდუქციის ერთობლივ შეფასებას, ქვეყნების უმეტესობას პროდუქტზე თითო ანტიდემპინგური ზომა აქვს შემოღებული, მხოლოდ მექსიკას აქვს 3 ანტიდემპინგური ღონისძიება შემოღებული ცხლად ნაგლინ ფოლადის ბრტყელ პროდუქციაზე და რამდენიმე ქვეყანას რამდენიმე პროდუქტზე 2-2 ანტიდემპინგური ზომა, მათ შორის: უკრაინას - სასუქები, ხის ფიცრები და დსპ, ფოლადის მავთულები და ღეროები; ევროკავშირს - ფოლადის საფარიანი ბრტყელი ნაწარმი, სასუქები, აშშ - ცხლად ნაგლინი ფოლადის ბრტყელი პროდუქცია, ინდოეთი - ორგანული გამხსნელები და ალკოჰოლი, ბრაზილია - ნავთობქიმიკატები. ეს უკანასკნელი არის 2020-2025 წლებში ახლად მიღებული, ხოლო დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი ზომები 2020 წლამდეა მიღებული.

ძირითადი მიგნებები

- რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების უმსხვილესი მომხმარებლები არიან უკრაინა, ევროკავშირი, აშშ და ინდოეთი, რომლებიც ერთად არსებული ღონისძიებების დაახლოებით 64%-ს მოიცავენ.
- 2020 წლის შემდეგ შემოღებული ახალი ღონისძიებების მიხედვით აშშ ლიდერობს (6 ღონისძიება). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ 2022 წლის შემდეგ უკრაინასა და ევროკავშირს რუსეთის წინააღმდეგ ახალი ანტიდემპინგური ზომები აღარ მიუღიათ.
- მიუხედავად იმისა, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებები კვლავ ძირითადად მეტალურგიულ პროდუქტებზეა კონცენტრირებული, 2020-2025 წლებში გაიზარდა ქიმიური სექტორის - ნავთობქიმიკატების, სპეციალური პოლიმერებისა და სპეციალური ქიმიკატების - წილი, რაც მიუთითებს სამიზნე პროდუქციის გარკვეულ დივერსიფიკაციაზე. ამასთან, ზომები ძირითადად კონცენტრირებულია ენერგოინტენსიური პირველადი მასალების წარმოების დარგებში.

III. თურქეთის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2020-2025 წლების პერიოდში აქტიური და ახლად შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებებს შორის 63 ზომა გამოყენებული იყო თურქეთის წინააღმდეგ (მთლიანი რაოდენობის 2%). 2020-2025 წლებში, თურქეთის წინააღმდეგ შემოღებულია 32 ახალი ზომა, რაც ახლად შემოღებული ზომების მთლიანი რაოდენობის 3%-ს წარმოადგენს. თავად თურქეთმა სხვა ქვეყნებიდან იმპორტზე მიიღო 171 ანტიდემპინგური ზომა, მათგან 37 – 2020 წლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ჩინეთისა და რუსეთისაგან განსხვავებით, თურქეთს უფრო მეტი ანტიდემპინგური ზომა აქვს გამოყენებული სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, ვიდრე თურქეთის წინააღმდეგ არის მიღებული.

წლების მიხედვით არსებული დინამიკა მიყვება სხვა ქვეყნებში არსებულ ტრენდს, კერძოდ, ჩინეთის და რუსეთის მსგავსად, თურქეთის წინააღმდეგაც 2021 წელს ზომების რაოდენობა მკვეთრად გაზრდილია 2020 წელთან შედარებით და პერიოდის მაქსიმუმს 11 ღონისძიებას მოიცავს. 2022-2024 წლებში ვლინდება კლების ტენდენცია და 2023-2024 წლებში მინიმალური რაოდენობისაა, 2025 წელს კი ისევ მკვეთრად იმატებს.

გრაფიკი 9. თურქეთის წინააღმდეგ შემოღებული ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები, 2020-2025 წწ.



ინიციატორი ქვეყნებიდან თურქეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ყველაზე აქტიურად აშშ (32%) იყენებს, ასევე კანადა (10%), ეგვიპტე (10%), უკრაინა (8%) და ევროკავშირი (6%). რაც შეეხება პერიოდების მიხედვით ზომების შედარებას, იკვეთება, რომ 2020 წლამდე შემოღებული ღონისძიებების ყველაზე დიდი წილი აშშ-ზე (35%), კანადაზე (16%), ეგვიპტესა (10%) და ისრაელზე (10%) მოდიოდა. 2020 წლის შემდეგ მიღებული ახალი ანტიდემპინგური ზომების რაოდენობაში ისევ აშშ ლიდერობს - 9 ანტიდემპინგური ღონისძიება (28%), უკრაინა მეორე ადგილზე ინაცვლებს 5 ზომით (16%), სამეულში შემოდის ევროკავშირი - 4 ზომა (13%), ხოლო ეგვიპტე მეოთხე ადგილზე გადადის 3 ანტიდემპინგური ზომით (9%). 2020 წლის შემდეგ მიღებული ახალი ზომების რაოდენობის თვალსაზრისით, ქვეყნების პირველ სამეულზე მოდის საერთო რაოდენობის 56%.

აღსანიშნავია, რომ უკრაინასა და ევროკავშირს თურქეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგური ზომები 2020 წლამდე არ მიუღია. ასევე, 2020 წლის შემდეგ ახალ ქვეყნებს შორის არიან ავსტრალია, მალაიზია, რუსეთი, საუდის არაბეთი და სამხრეთ აფრიკა.

გრაფიკი 10. 2020-2025 წლებში თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა იმპორტიორი ქვეყნის მიხედვით



თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების სექტორული ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ყველაზე აქტიურად ანტიდემპინგური ღონისძიებები არაძვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის სექტორში იყო გამოყენებული და მთლიანი ზომების 52% შეადგინა. დანარჩენი სექტორების წილი აღნიშნულთან შედარებით მკვეთრად დაბალია, მეორე ადგილზეა მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობების სექტორი - 5 ანტიდემპინგური ზომით, შემდეგ კი ქიმიკატებისა და ცემენტის წარმოების სექტორებია.

რაც შეეხება პროდუქტთა ჯგუფს, როგორც მთელი პერიოდის განმავლობაში, ასევე ბოლო 2020-2025 წლებში აქტუალურია შემდეგი სახეობის დემპინგური იმპორტი - ფოლადის გრძივი ნაწარმი (13%), ელექტრომოწყობილობები და ტექნიკა (8%). რაც შეეხება ნახშირბადოვანი ფოლადის მილებს(10%), მათზე ანტიდემპინგური ზომები მხოლოდ 2020 წლამდეა მიღებული.

2020-2025 წლების განმავლობაში, ანტიდემპინგური ზომების უმეტესობა (38%) შემოღებულია ფოლადის სხვადასხვა სახის ნაწარმზე, მათ შორის: ფოლადის გრძივი ნაწარმი (3), დაფარული ბრტყელი ფოლადის ნაწარმი (3), ფოლადის მავთულები და ღეროები (3), ფოლადის სამაგრები და ფურნიტურა (2), ცხლად ნაგლინი ბრტყელი ფოლადის ნაწარმი (1). 2-2 ზომა არის შემოღებული ავტომობილის ნაწილებისა და კომპონენტების, ელექტრომოწყობილობებისა და ტექნიკის, PVC და ვინილის ნაწარმის, ასევე ალუმინის ნაწარმის დემპინგური იმპორტის გამო. დანარჩენ 12 სახის პროდუქციაზე შემოღებულია თითო-თითო ზომა.

ანტიდემპინგური ზომების რაოდენობით პირველ ადგილზე მდგომი ფოლადის ნაწარმის იმპორტზე ზომები მიღებულია როგორც 2020 წლამდე (17), ასევე 2020 წლის შემდეგ (12 ახალი ზომა). 2020 წლის შემდეგ ანტიდემპინგური ზომების ახალ მიმართულებებს შორის არის ალუმინის ნაწარმი (2), PVC და ვინილის პროდუქტები (2) და ავტომობილის ნაწილები და კომპონენტები (2).

* გრაფიკი 11. 2020-2025 წლებში თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქციის ჭრილში*



რაც შეეხება ქვეყნებისა და პროდუქციის ერთობლივ ჭრილს, ქვეყნების უმეტესობას პროდუქტზე თითო ანტიდემპინგური ზომა აქვს შემოღებული, მხოლოდ აშშ-ს აქვს 5 ანტიდემპინგური ზომა შემოღებული ნახშირბადოვანი ფოლადის მილებზე. ასევე, აშშ-ს აქვს 2-2 ზომა მიღებული ცხლად ნაგლინი ბრტყელი ფოლადის ნაწარმზე, ფოლადის მავთულებსა და ღეროებზე და ალუმინის ნაწარმზე.

ძირითადი მიგნებები

- 2020-2025 წლების პერიოდში აქტიური და ახლად შემოღებული ზომების გათვალისწინებით იკვეთება, რომ თურქეთი ანტიდემპინგური ღონისძიებების უფრო აქტიური მომხმარებელია, ვიდრე სამიზნე. ამ პერიოდში თურქეთის წინააღმდეგ 63 ანტიდემპინგური ღონისძიება მოქმედებდა, ხოლო თავად თურქეთმა სხვა ქვეყნების მიმართ მნიშვნელოვნად მეტი — 171 ღონისძიება გამოიყენა.
- შეფასებულ პერიოდში, 2021 და 2025 წლებში თურქეთის წინააღმდეგ გამოყენებული ზომების მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა, რაც ჩინეთის შემთხვევაში დაფიქსირებული ტენდენციის მსგავსია.
- თურქეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგურ ზომებს ყველაზე აქტიურად აშშ იყენებს, რომელიც როგორც მოქმედი, ისე 2020 წლის შემდეგ შემოღებული ღონისძიებების მიხედვით ლიდერ პოზიციას იკავებს და ზომების თითქმის მესამედზე არის პასუხიმგებელი.
- ანტიდემპინგური ღონისძიებების ნახევარზე მეტი (52%) არაძვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის სექტორზე მოდის, რაც თურქეთის მიმართ ზომების მკაფიო სექტორულ კონცენტრაციას მიუთითებს.
- ასევე, საინტერესოა, რომ თურქეთის მიმართ ფოლადის ნაწარმზე უფრო მეტი ანტიდემპინგური ზომა არის დაწესებული (29), ვიდრე რუსეთის მიმართ (26), მათ შორის, 2020 წლის შემდეგ თურქეთის მიმართ შემოღებული ზომების რაოდენობა (13) 2-ჯერ მეტია რუსეთის მიმართ შემოღებულ ზომებზე (6).
- მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის წინააღმდეგ ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითადი ნაწილი კვლავ ფოლადისა და მეტალურგიული პროდუქციის სექტორზე მოდის, ბოლო წლებში გაიზარდა ელექტრომოწყობილობების, ავტომობილის ნაწილებისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის მიმართ გამოყენებული ზომების წილი, რაც სამიზნე სექტორების უფრო ფართო დივერსიფიკაციაზე მიუთითებს.

შეჯამება

ჩინეთის, რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ 2020-2025 წლებში მოქმედი ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასება აჩვენებს, რომ მიუხედავად საერთო სექტორული მახასიათებლებისა, წარმოდგენილი ქვეყნების წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური პოლიტიკა განსხვავებული დინამიკითა და სტრუქტურით ხასიათდება. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქვეყნები საქართველოს იმპორტში მნიშვნელოვან წილს იკავებენ, გამოვლენილი ტენდენციები პოტენციურად მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირებისა და სავაჭრო პროცესების მონიტორინგის საშუალებას იძლევა.

ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებების დინამიკის თვალსაზრისით, სამივე ქვეყნისთვის საერთო მახასიათებელია 2021 წელს ზომების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რაც პანდემიის შემდგომი იმპორტის ზრდასა და რიგ სექტორებში ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების არსებობას უკავშირდება. ამის შემდეგ 2022-2023 წლებში კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა 2024–2025 წლებში ქვეყნების დინამიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩინეთის წინააღმდეგ 2025 წელს დაფიქსირდა ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებების რეკორდული რაოდენობა, ასევე თურქეთის შემთხვევაში გამოვლინდა მკვეთრი ზრდა. განსხვავებით ჩინეთისა და თურქეთისგან, რუსეთის წინააღმდეგ 2024-2025 წლებში ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობის ზრდის ტენდენცია არ ფიქსირდება.

ინიციატორი ქვეყნების ანალიზი აჩვენებს, რომ აშშ სამივე ქვეყნის შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია, თუმცა სხვა ინიციატორი ქვეყნების სტრუქტურა განსხვავდება. ჩინეთის შემთხვევაში 2020 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა ინდოეთის როლი. რუსეთის შემთხვევაში წამყვანი პოზიცია უკრაინიდან აშშ-ზე გადავიდა. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის შემდეგ უკრაინასა და ევროკავშირს რუსეთის წინააღმდეგ ახალი ანტიდემპინგური ღონისძიებები აღარ შემოუღიათ, მაშინ როდესაც თურქეთის შემთხვევაში, პირიქით, 2020 წლის შემდეგ სწორედ უკრაინა და ევროკავშირი აქტიურ ინიციატორ ქვეყნებს შორის გამოჩნდნენ.

სექტორული და პროდუქციული ანალიზი აჩვენებს, რომ სამივე ქვეყნის მიმართ ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად არაძვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის სექტორზეა კონცენტრირებული, თუმცა კონცენტრაციის ხარისხი განსხვავებულია. თურქეთის შემთხვევაში აღნიშნული სექტორი ყველაზე მეტად დომინირებს, ჩინეთის შემთხვევაში მეტალურგიულ სექტორთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ქიმიურ მრეწველობას, მანქანა-დანადგარებსა და პლასტმასის ნაწარმს უკავია, ხოლო რუსეთის შემთხვევაში ზომები ძირითადად მეტალურგიულ პროდუქტებზეა კონცენტრირებული, თუმცა ბოლო წლებში გაიზარდა ქიმიური სექტორის წილი.

საერთო ჯამში, ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად მეტალურგიული სექტორის დომინანტური როლის შენარჩუნებისა, განხილული ქვეყნების შემთხვევაში 2020 წლის შემდეგ შეინიშნება სამიზნე პროდუქციის სტრუქტურის ეტაპობრივი დივერსიფიკაცია. ტრადიციულ ფოლადის პროდუქტებთან ერთად უფრო ხშირად ხდება მანქანა-დანადგარების, ელექტრომოწყობილობების, სპეციალიზებული ქიმიური პროდუქციის, ალუმინის ნაწარმისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის მიმართ ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება.